

ჩაერთეთ დედოფლის გორის არქეოლოგიური ძეგლის და გარემოს კომპლექსურ კვლევაში



მაისიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი იწყებს დედოფლის გორის არქეოლოგიური ძეგლისა და გარემოს კომპლექსურ კვლევითი პროექტის განხორციელებას.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- კომპლექსის მულტიდისციპლინური შესწავლა;
- იმ პერიოდის გარემოს, სოციალური, კულტურული და რელიგიური ასპექტების რეკონსტრუქცია;
- კომპლექსის ისტორიული წარსულის რეკონსტრუქცია;
- 3D მულტიმედიური მონაცემთა ბაზის შექმნა;

ამჟამად დაგეგმილია კვლევების რამდენიმე მიმართულებად წარმართვა, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია სხვა მიმართულებების დამატებაც :

1. ტოპოგრაფია და გეოსაინფორმაციო სისტემები.
2. გეომორფოლოგია.
3. არქეოლოგიური გათხრები.
4. ფოტოგრამეტრია და ლაზერული სკანირება, ფოტოფიქსაცია.
5. ვირტუალური 3 D მოდელის რეკონსტრუქცია.

პროექტში მონაწილეობს ვენეციის უნივერსიტეტის ექსპედიცია, პროფესორ ელენე როვას მონაწილეობით.

პროექტი არის მულტიდისციპლინური და მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერი ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებს, საბაკალავრო, სამაგისტო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც გაერთიანდებიან კვლევების თემატიკის მიხედვით.

თუ ხართ დაინტერესებული ჩაერთოთ აღნიშნულ კვლევაში; ან გაქვთ იდეა, თუ როგორ და რა თემით მოხდება თქვენი ჩართვა პროექტში და გაგაჩნიათ საკმარისი მოტივაცია, გთხოვთ შეავსოთ თანდართული აპლიკაცია.

<https://docs.google.com/forms/d/1tHmRPpSPSaOi7cIGqvN-5p7KBYenr46YlaU7-hBJQUQ/viewform>

განაცხადები მიიღება 15 მაისამდე.

ჩაერთეთ დედოფლის გორის არქეოლოგიური ძეგლის და გარემოს კომპლექსურ კვლევაში

დედოფლის გორა

დედოფლის გორა მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტში. დედოფლის გორა ცნობილია ქ.წ. II - ქ.შ. I საუკუნის სამეფო სასახლით, რომლის ნაშთები შეისწავლებოდა 1985-2007 წლებში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სასახლის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლინდა მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა - ხისა და ლითონის ავეჯი, თიხის, მინისა და ლითონის ჭურჭელი, საბრძოლო-სამეურნეო იარაღ-საჭურველი და საყოფაცხოვრებო ნივთები, ოქროსა და ვერცხლის მონეტები, აგრეთვე სხვადასხვა სახისა და მასალის სამკაული, კამათლები, ნარდის კოჭები, სამკითხაო-სატამაშო ბანქოს მსგავსი ძეგლის ფირფიტები, ქსოვილების და სურსათ-სანოვავის ნაშთები.

სავარაუდოა, რომ სასახლე უეცრად დაინგრა, დაახლოებით ქ.შ. 80 წელს.

პროექტის სამუშაოების დროში გაწერილი გეგმა, მონაწილეები და რესურსები:

სამუშაოს აღწერა	შესრულების დაგეგმილი პერიოდი	მონაწილეები
ტოპოგრაფია და გის სისტემები	მაისი	გეოგრაფიის მიმართულება
დისტანციური ზონდირება	ივნისი	გეოგრაფიის და არქეოლოგიის მიმართულებები
გეომორფოლოგია და ჰიდროლოგია	მაისი-ივნისი	გეოგრაფიის მიმართულება
სამიეზო გეოფიზიკური კვლევები	მაისი-ივნისი	გეოფიზიკის მიმართულება
არქეოლოგიური დაზვერვები	მაისი-ივნისი	არქეოლოგიის და გეოგრაფიის მიმართულებები
არქეოლოგიური გათხრები	ივლისი-აგვისტო	არქეოლოგიის მიმართულება
ფოტოგრამეტრია და ლაზერული სკანირება, ფოტოფიქსაცია	მაისი-ივლისი,	გეოგრაფიის მიმართულება და 3D ვირტუალური რეალობის ლაბორატორია (Motion Graphics)
ვირტუალური 3D მოდელის რეკონსტრუქცია	ივლისი-სექტემბერი	3D ვირტუალური რეალობის ლაბორატორია (Motion Graphics) არქიტექტურის, არქეოლოგიის და გეოგრაფიის მიმართულებები

პროექტის სრული აღწერა შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ფაილში.

გისურვებთ წარმატებებს!